ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11432/01
21/12/2018

11432-01-2-201812211747

შპს „RMG Gold“-ს

თქვენს მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი შპს „RMG Gold“-სარსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობებების შეცვლის - მოედნების გაფართოების პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში საჭიროებს გარკვეული საკითხების დაზუსტებას.

კერძოდ, გზშ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ საყდრისის საბადოს მადნის გადამუშავებისათვის საჭიროა გროვული გამოტუტვის არსებული საწარმოო მოედნების გაფართოება. ამასთან, მითითებულია, რომ შპს „RMG Gold“-ი გადაამუშავებს საყდრისის და ბნელი ხევის კარიერებიდან მოპოვებული მადანს.

გარდა აღნიშნულისა, გზშ-ს ანგარიშში გამოსატუტ მოედნებზე დასაყრელი მადნის მოცულობების დახასიათებაში, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით და ტექნოლოგიურ სქემაში განხილულია საყდრისის საბადოს მადნების მოცულობა და საყდრისის საბადოს მადნის გადამუშავების ტექნოლოგია. საკითხის დაზუსტებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გთხოვთ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოთ გაფართოებულ მოედნებზე საყდრისის საბადოს მადნის განთავსებისა და გადამუშავების შესახებ მეტად დეტალიზებული ინფორმაციის წარმოდგენა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე